

**ონკო-ჰემატოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვთა მშობლების ტრავმა
და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა**

თამარ მჭედლიშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ჯანა ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

თამარ მჭედლიშვილი

6.07.2015

აბსტრაქტი

საერთაშორისო კვლევები, რომლებიც ფოკუსირებულია ონკო-ჰემატოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვების მშობლების ფსიქიკური მდგომარეობის შესწავლაზე, ხაზს უსვამს აღნიშნულ ადამიანებში სხვადასხვა სახის ფსიქიკური პრობლემების არსებობას.

რადგანაც მსგავსი კვლევა საქართველოში არ ჩატარებულა, ეს კვლევა მიზნად ისახავდა შეესწავლა ლეიკემიითა და ლიმფომებით დაავადებული ბავშვების მშობლების ტრავმა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, კერძოდ პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, დეპრესია, შფოთვითი აშლილობა და ფსიქო-სომატური სიმპტომები.

კვლევა ჩატარდა მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ონკო-ჰემატოლოგიურ განყოფილებაში. კვლევაში ჩართულები იყვნენ საკვლევო პერიოდის განმავლობაში ჰოსპიტალიზირებული და ამბულატორიულ მკურნალობაზე მყოფი ბავშვების მშობლები. კვლევაში ჩართვის ერთადერთი კრიტერიუმი ბავშვის დიაგნოზი ლეიკემია ან ლიმფომა იყო.

კვლევისთვის გამოყენებული იქნა კითხვარების ბატარეა, რომელიც შედგებოდა შემდეგი ინსტრუმენტებისგან: დეპრესიის საკვლევო კითხვარი (PHQ-9), ფსიქო-სომატური სიმპტომების საკვლევო კითხვარი (PHQ-15), შფოთვითი აშლილობის საკვლევო კითხვარი (GDA-7) და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის საკვლევო კითხვარი (PCL-5).

კვლევის შედეგები ეხმიანება საერთაშორისო კვლევების დასკვნებს.

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული მშობლების 37% DSM-V სადიაგნოსტიკო კრიტერიუმების გათვალისწინებით, დაუდასტურდა პოსტტრავმული სტრესული აშლილობა, ხოლო 63% - არ აკმაყოფილებს სადიაგნოსტიკო კრიტერიუმებს.

შედეგების მიხედვით, დეპრესია არ აღინიშნება მონაწილეების 23,3%, დეპრესიის სიმპტომების სიმძიმის დაბალი მაჩვენებელი აქვს 20%, საშუალო მაჩვენებელი 26,7%, ზომიერად მძიმე - 16,7%, ხოლო დეპრესიის მძიმე მაჩვენებელი - 13,3%.

კვლევის შედეგების მიხედვით, მსუბუქი შფოთვისითი აშლილობა აღინიშნება გამოკითხული მშობლების 16,7%, ზომიერი - 53,3%, ხოლო მძიმე შფოთვისითი აშლილობა - 30%.

რაც შეეხება ფსიქო-სომატურ სიმპტომებს, გამოკითხული მშობლების 36,7% გამოუვლინდა სომატური სიმპტომების სიმწვავის დაბალი მაჩვენებელი, 43,3% - საშუალო მაჩვენებელი, ხოლო 20% - მაღალი მაჩვენებელი.

შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ მშობლების დასაქმება, ბავშვის დიაგნოზი და მკურნალობის ტიპი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფსიქიკური პრობლემების განვითარებაში. კერძოდ, უმუშევარ, ჰოსპიტალიზირებულ და ლეიკემიის დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლებში უფრო მაღალი იყო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები.

აღნიშნულ კვლევის მთავარ შეზღუდვად შეიძლება ჩაითვალოს მონაწილე მშობლების მცირე რაოდენობა, რაც თავის მხრივ არ იძლევა სტატისტიკურად სანდო ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობას. ასევე კვლევის შეზღუდვაა მონაწილე ადამიანები ერთი სქესი. კვლევაში ჩართვა მოახერხეს მხოლოდ დედებმა, რადგან როგორც წესი დაავადების მქონე ბავშვებზე ისინი ზრუნავენ, მაშინ როცა მამები ცდილობენ ოჯახისთვის აუცილებელი სხვადასხვა საჭიროებების დაკმაყოფილებას. შესაბამისად მიზანშეწონილი არ არის მიღებული შედეგების განზოგადება ორივე სქესის მშობელზე.

კვლევაში განხილული პრობლემების გააზრებისა და ქმედითი ნაბიჯების განხორციელებისათვის, საჭიროა ლეიკემიითა და ლიმფომებით დაავადებული ბავშვების მშობლების უფრო ღრმა და მასშტაბური კვლევა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ლეიკემიითა და ლიმფომებით დაავადებული ბავშვების მშობლები. ჰოსპიტალიზირებული და ამბულატორიული მკურნალობა, დეპრესია, შფოთვითი აშლილობა, ფსიქო-სომატური სიმპტომები, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა.

Abstract

International studies, which are focused at mental health problems and trauma of parents whose children suffer from onco-hematological diseases, highlight existence of a number of mental health problems among this group.

since similar studies have never been conducted in Georgia, main objective of this research was to study mental health problems of the parents of children with leukemia and lymphoma, including post-traumatic stress disorder, depression, anxiety disorder and psychosomatic symptoms.

The study was conducted in M. Iashvili Children's Central Hospital, onco-Hematology unit. The mothers of the outpatients and hospitalized children, in total 30 persons, were study participants. An only criterion for study subject's selection was the diagnosis of leukemia or the lymphoma of their children.

A battery of the questionnaires was implied in the study, which includes following instruments: depression scale (PHQ-9), somatic symptom scale (PHQ-15), anxiety measure (GDA-7) and PTSD scale (PCL-5).

The results echoing the findings of international studies.

The study findings revealed the following picture: 37% of the parents meet DSM-V diagnostic criteria for post-traumatic stress disorder.

76% of participants suffer from depression symptoms of different severity: 20% have a low depression, 26.7% - mild depression, 16.7% - moderately heavy and 13.3% - severe depression .

Anxiety of different severity were revealed within the whole studied group: according to the results, 16.7% of the subjects had mild anxiety disorder, 53.3% - moderate, and 30% - severe anxiety disorder.

All the studied mothers suffered from this or that psychosomatic symptoms of different severity. Namely 36.7% of them experienced a low rate of somatic symptom, 43.3% - average rate, while 20% - high rate.

The study results revealed, that the employment of the parents, the child's diagnosis and the type of treatment plays an important role in the development of mental health problems.

A small number of parents involved can be considered as the main limitation of the study which does not allow the possibility to get statistically trustworthy information. Therefore it is not appropriate to generalize the obtained results. Besides that, due to the fact, that fathers of the children are busy with families' subsistence need satisfaction and as a rule mothers take care of the diseased children, the studied population was homogeneous by gender, which does not allow to extrapolate study results toward both parents.

It is important to conduct large scale and deeper study of parents of children with leukemia and lymphoma deeper, to understand their mental health problems and needs

better and consider them in the course of children's treatment, as mental health condition of the parents significantly influence dynamics of child's treatment.

Key words: Parents of children with leukemia and lymphoma; Hospitalized and outpatient treatment; Depression; Anxiety disorder; Psycho-somatic symptoms; Post-traumatic stress disorder.

მადლობა

დიდი მადლობა ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს, მოცემული კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს ქ-ნ ჯანა ჯავახიშვილს და მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს ონკო-ჰემატოლოგიური განყოფილების ბენეფიციარების მშობლებს კვლევის ჩატარებისთვის გაწეული დახმარებისთვის.